ხელშეკრულება N02/10/102-14

ქ. თბილისი 2 სექტემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ (შემდგომში წოდებული “დამკვეთი’), მისი დირექტორის შალვა ბრაჭულის სახით და მეორეს მხრივ, ა.ი.პ. „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი “ (შემდგომში წოდებული “შემსრულებელი), მისი აღმასრულებელი დირექტორი ქეთევან კრიალაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა.ი.პ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ტრენინგის ჩატარება სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს თანამშრომლისთვის. CPV80400000

2. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

2.1 ა.ი.პ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“ (“შემსრულებელი’) იღებს ვალდებულებას ჩაუტაროს ოთხკვირიანი პრაქტიკული ტრენინგ კურსი სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირებაში კომპანია სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს (“დამკვეთი”) 2 თანამშრომელს - გიგაშვილი დავითი; მაჭავარიანი თეა; (2014 წლის 2 სექტემბრიდან 19 სექტემბრამდე);

2.2 კომპანია სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ (“დამკვეთი”) იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ა.ი.პ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრ“-ს (შემსრულებელი”) შეთანხმებული საზღაური.

2.3 ტრენინგის საზღაური გადახდილი იქნება კურსის დასრულების შემდეგ 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთი პიროვნების ტრენინგის (გადამზადების) ღირებულებაა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2. მხარეები მოვალენი არიან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 1 (ერთი) დღის ვადაში აცნობონ მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი და მათი შესრულების მოსალოდნელი თარიღი.

4.3. ყველა შესაძლო დანართი, ორივე მხარის მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი, ძალაშია მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.4. მხარეები მიმართავენ მთელ ძალისხმევას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

5. ხელშეკრულების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 19 ოქტომბრამდე, თითოეული მხარისათვის მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წინასწარ სამი დღის ვადაში წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

5.3. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არა ერთგზის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტის საფუძველი. ამ დროს ხელშეკრულების გაუქმების ინიციატორი მეორე მხარე უნაზღაურებს ამ მომენტისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას ან აღნიშნულით გამოწვეულ ზიანს.

6. ფორს – მაჟორი

6.1. კანონმდებლობით დადგენილი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა და მოქმედების შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან ამ გარემოებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების მოშლას.

7. დამატებითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ეყრდნობა მხარეებს შორის მიღწეულ სრულ ურთიერთგაგებას.

7.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წამოჭრილი საკითხი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი სახელით და სახელშეკრულებო მუხლების არსრულებაზე წარმომადგენლობის რაიმე უფლება მესამე პირებს არ ეკისრებათ.

7.4 არსებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და რჩება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“	ა.ი.პ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი “
მის: თბილისი, ქერჩის ქ. **#8**	მის: ჩარგლის ქ.67
ტელ: **2 547005**	ტელ: 2309084
ს/კ: **200280141**	ს/კ 200276183
სს „ლიბერთი ბანკი“	ბანკი: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა”
ბანკის კოდი: **LBRTGE22**	ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა: **GE97LB0121110646445000**	ა/ნ: GE75BR0000010895233845
დირექტორი შალვა ბრაჭული	აღმასრულებელი დირექტორი ქ. კრიალაშვილი